

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების წესი

ავტორი: სალომე საღარაძე

თბილისი

2017

კვლევა მომზადდა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“ ფარგლებში.

კვლევაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას



Kingdom of the Netherlands


სარჩევი

შესავალი	3
ახალი წესი - მიზნები და რეგულირების სფერო	3
შესყიდვაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები.....	4
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.....	5
სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის ობიექტები	6
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა.....	7
„შესყიდვის ელექტრონული პროცედურის“ მოდული.....	8
ფასთა გამოკითხვა და პირდაპირი შესყიდვა.....	9
შეჯამება	12

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიღების დღიდან კანონის პირველივე მუხლი არეგულირებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის შემუშავებისთვის პასუხისმგებელ უწყებებს.¹ 2005 წლიდან დღემდე კანონის ჩანაწერში ორი ცვლილება შევიდა და მხოლოდ შემუშავებული და მიმღები უწყებები შეიცვალა. მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა 2016 წლამდე არ მიღებულა არანაირი წესი, რომელიც საიდუმლო შესყიდვების წესს დაამტკიცებდა.

მიუხედავად წესის არარსებობისა, წლების განმავლობაში შეუფერხებლად გრძელდებოდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის² თანახმად, 2010-2015 წლებში მართლაც შეიძინა ადმინისტრაციულმა ორგანომ წესის გარეშე 747 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 2752 საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა.



ახალი წესი - მიზნები და რეგულირების სფერო

¹ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს შეიმუშავებს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

² საიას კვლევა - საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები წესის გარეშე. ელექტრონულად ხელმისაწვდომია - https://gyla.ge/files/news/saidumlo%20Sesyidvebi%20wesis%20gareSe_ge.pdf;

2016 წლის 11 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება,³ რომლითაც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესი დაამტკიცა.⁴

წესის მიზნად განისაზღვრა:

- სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვებში კონკურენციის ხელშეწყობა.

აღნიშნული წესით ასევე რეგულირდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები; ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები; სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის ობიექტების ნუსხა; შესყიდვის საშუალებები, მისი განხორციელების და გამარჯვებულის გამოვლენის წესები; ხელშეკრულების გაფორმებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და გასაჩივრების წესები.

შესყიდვაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები

დადგენილების მიხედვით, შემსყიდველი შესაძლოა იყოს მხოლოდ ის ორგანიზაცია, ვისაც აქვს უფლება განახორციელოს სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვა, ხოლო შესყიდვის განხორციელებელი პირი - შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე პირი ან პირთა ჯგუფი.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია წესის დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი, დადოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების შესრულებაზე განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, შეწყვიტოს ხელშეკრულება, განახორციელოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შესყიდვიდან, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვა წესით გათვალისწინებული მიზეზებით.

შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საიდუმლო შესყიდვების წესის⁵ მოთხოვნები, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები, მიმწოდებელს გადაუხადოს ხელშეკრულების

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3337616>

⁴ წესის მოქმედება არ ვრცელდება „ოპერატიულ-სამშენებრო საქმიანობის შესახებ“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVII თავით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებების მიერ გაწეულ ხარჯებზე.

⁵ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი.

შესაბამისად შეთანხმებული საზღაური და აცნობოს პრეტენდენტს ამ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

მიმწოდებელს წარმოადგენს პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას აწვდის შესყიდვის ობიექტს.

სააგენტოს სისტემის მიხედვით, ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა გააჩნდეს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). ამასთან, ფასთა გამოკითხვის და პირდაპირი შესყიდვის დროს მხოლოდ ისეთ პრეტენდენტთან ხდება მოლაპარაკება ვისაც გააჩნია შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება. ასეთი დაშვების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია მიიღოს შესყიდვაში მონაწილეობა და გააფორმოს ხელშეკრულება შემსყიდველთან, მიიღოს ანაზღაურება ხელშეკრულების შესრულების სანაცვლოდ და გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედება ან გადაწყვეტილება.

მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესები, მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

ინტერესთა კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას მიმწოდებელთა შერჩევის, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის და ზედამხედველობის ან შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვის დროს. ინტერესთა კონფლიქტი ექნება პირს თუ შემსყიდველსა და პრეტენდენტს/მიმწოდებელს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით არის რეგულირებული.⁶

⁶ მუხლი 19. ურთიერთდამოკიდებული პირები:

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.
2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:
 - ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
 - ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
 - გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
 - დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
 - ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
 - ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
 - ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
 - თ) პირები ნათესავები არიან ;
 - ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.
3. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:
 - ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
 - ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;

თუმცა, იმ შემთხვევაში როდესაც მიმწოდებელს/პრეტენდენტს წარმოადგენს ასევე შემსყიდველი ორგანიზაცია ინტერესთა კონფლიქტს ადგილი ექნება თუ:

- პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
- პირები ნათესავები არიან;
- პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში არსებული მდგომარეობა ფორმდება წერილობით. პირველ შემთხვევაში შემსყიდველმა უნდა განაცხადოს აცილება და შეწყვიტოს მონაწილეობა შესყიდვაში, ხოლო, მეორე შემთხვევაში დაწეროს ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.

სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის ობიექტები

საიდუმლო შესყიდვების წესის მე-2 თავში ჩამოთვლილია ის ობიექტები, რომლებიც შესაძლოა მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვის ობიექტს, კერძოდ ეს შეიძლება იყოს მომსახურება, საქონელი და სამშენებლო სამუშაო. აღნიშნული ეხება სტრატეგიულ და თავდაცვით სარეჟიმო შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, ასევე სამხედრო/თავდაცვის მიზნებისთვის შეიარაღების, საბრძოლო მასალების, სპეციალური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებით აღჭურვისა და შენახვასთან დაკავშირებულ საქონელსა და მომსახურებას, მატერიალურ რეზერვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საცავების მშენებლობას და სარემონტო სამუშაოებს, სამეცნიერო-კვლევით მომსახურებას, რომელიც ემსახურება მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს, ასევე სხვა საქონელი, მომსახურება და სამუშაო რომელიც შეიცავს მთავრობის დადგენილებით⁷ განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

4. ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებული არიან ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილები – ღვიძლ შვილებთან. ამასთანავე, სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები), რომელიც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას. აღნიშნულ პირებს შორის საოჯახო ერთობის შეწყვეტა მხედველობაში არ მიიღება მათ შორის მშობლისა და შვილის ურთიერთობის შენარჩუნებისას ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

5. ამ მუხლის მიზნებისათვის კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას და ამ თანამდებობებზე პირების დანიშვნის უფლებას; ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას.

6. ამ მუხლის მიზნებისათვის ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი.

⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #507 დადგენილება.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა

წესის მე-3 თავი არეგულირებს შესყიდვის საშუალებებს და მათი განხორციელების წესებს.

შესყიდვის ძირითად საშუალებას **შესყიდვის ელექტრონული პროცედურა** წარმოადგენს და აღნიშნული გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში თუ არ ხდება პირდაპირი შესყიდვა ან ფასთა გამოკითხვა.

წესის მიხედვით შესყიდვის ელექტრონული პროცედურების განცხადებაში (არსებობის შემთხვევაში, ასევე დოკუმენტაციაში) შესაძლებელია მიეთითოს:

- მონაცემები, რომლებიც ზოგად ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს ობიექტის შესახებ;
- დაინტერესებული პირის მიერ ინტერესის გამოხატვისა და წინადადების წარდგენისთვის საჭირო პროცედურების შესახებ ზუსტი ინფორმაცია;
- პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ინფორმაციისა და დოკუმენტების ზუსტი ჩამონათვალი;
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი ინფორმაცია.

შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოცხადების შემდეგ, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების განცხადებით (არსებობის შემთხვევაში, ასევე დოკუმენტაციით), განსაზღვრული პირობების დაცვით, დაინტერესებული პირი მიმართავს შემსყიდველ ორგანიზაციას, შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მოთხოვნით. აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების მქონე პირს.

შესყიდვის ელექტრონულ პროცედურებსა და ფასთა გამოკითხვაში პრეტენდენტთა რიგითობა განისაზღვრება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის ან თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ხარისხისა და ფასის კრიტერიუმებს, ყველაზე მაღალი ჯამური ქულის მიხედვით. გამარჯვებულად ვლინდება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე ის პრეტენდენტი, რომლის წინადადებაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ხარისხისა და ფასის კრიტერიუმებს – ყველაზე მაღალი ჯამური ქულის მქონე პრეტენდენტი, რომლის წინადადებაც სრულად შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რა შემთხვევაში და როდის გამოიყენება დაბალი ფასის ან ერთობლივად ხარისხისა და ფასის კრიტერიუმები, გამოიყენება თუ რა ისინი შესყიდვის ნებისმიერი ტიპის დროს და აქვს თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება თავად აირჩიოს კრიტერიუმი.

ამასთან, ბუნდოვნად და არასრულყოფილად არის განსაზღვრული და დადგენილი ყველაზე მაღალი ჯამური ქულის გამოთვლისთვის საჭირო პროცედურა, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ხარისხისა და ფასის კრიტერიუმს.

წესის მიხედვით, „თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ხარისხისა და ფასის კრიტერიუმებს, იგი, პირველ ეტაპზე, პრეტენდენტებსა და მათ წინადადებებს აფასებს განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის კუთხით, ხოლო შემდგომ – ხარისხობრივი თვალსაზრისით და შესაბამის კრიტერიუმში ანიჭებს შესაბამის ქულას, ჯამური ქულის გამოთვლის მიზნით.“ აღნიშნულ ჩანაწერში არ არის მითითებული რა ეტაპზე ხდება ფასის კრიტერიუმის შეფასება, ასევე არ არის აღნიშნული რომელ კრიტერიუმს რა ხვედრითი წონა აქვს ან განსაზღვრავს თუ არა ამას თავად შემსყიდველი კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე არ არის მითითებული პრეტენდენტისთვის შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურების წინასწარ ცნობის ვალდებულების შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა პოტენციურ მიმწოდებელს უკეთ ჩამოეყალიბებინა საკუთარი წინადადება და არ დაყრდნობოდა მხოლოდ დაბალ ფასს.

შერჩევა-შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის საერთო ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 თვეს. თუმცა, შესყიდვის განხორციელების წესი არ ითვალისწინებს სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შესაბამისად საზოგადოებისთვის საბოლოოდ მაინც უცნობი რჩება რომელი კომპანია გახდა გამარჯვებული, მოხდა თუ არა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ან საერთოდ შეწყდა თუ არა შესყიდვა. ასევე, არ არის მითითებული რა ვადაში შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება.

„შესყიდვის ელექტრონული პროცედურის“ მოდული

შესყიდვის ელექტრონული პროცედურების შესახებ განცხადება (არსებობის შემთხვევაში, ასევე დოკუმენტაცია) ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში⁸, „შესყიდვის ელექტრონული პროცედურის“ მოდულში.

2016 წლის 11 ივლისიდან დღემდე⁹ მხოლოდ 5 უწყების განაცხადებია გამოქვეყნებული სისტემაში¹⁰:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (34 განაცხადი):

- 4 - გამოცხადებულია;
- 27 - წინადადების მიღება დასრულებულია;
- 2 - არ შედგა;
- 1 - შეწყდა.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო (84 განაცხადი):

- 67 - წინადადებების მიღება დასრულებულია;
- 17 - არ შედგა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (1 განაცხადი):

- 1 - წინადადებების მიღება დასრულებულია;

სსიპ სსსტც "დელტა" (3 განაცხადი):

⁸ <http://procurement.gov.ge/>

⁹ 2017 წლის 17 თებერვალი

¹⁰ მონაცემები დათვლილია რეგისტრაციის თარიღის მიხედვით;

- 2 - არ შედგა;
- 1 - წინადადებების მიღება დასრულებულია.

სსიპ შსს-ს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი (1 განაცხადი)

- 1 - წინადადებების მიღება დასრულებულია.

სისტემაში არცერთი განაცხადი არ არის წინადადებების მიღების დასრულების ეტაპს გაცდენილი (გარდა ისეთი შემთხვევებისა სადაც შესყიდვა არ შედგა ან შეწყდა). მიუხედავად იმისა რომ ზოგ შემთხვევაში **6 თვეზე მეტია** გასული ჯერ კიდევ არ აქვს შერჩევა-შეფასების სტატუსი მინიჭებული. და შესაბამისად არც გამარჯვებულია გამოცხადებული და არც ხელშეკრულებაა დადებული. თუმცა წესის მიხედვით, შერჩევა-შეფასების და გამარჯვებულის გამოვლენის საერთო ვადა 3 თვეს არ აღემატება. როგორც ზემოთ აღინიშნა, შესყიდვის განხორციელების წესი არ ითვალისწინებს სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

„შესყიდვის ელექტრონული პროცედურის“ მოდულში საიდუმლო შესყიდვის შესახებ ჯამში 123 განაცხადია გამოქვეყნებული,¹¹ აქედან წინადადებების მიღება დასრულებულია 98 შემთხვევაში. შესყიდვების სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 122 მილიონ ლარს გადააჭარბა.¹²

ფასთა გამოკითხვა და პირდაპირი შესყიდვა

წესის მე-8 და მე-9 მუხლები ადგენენ ფასთა გამოკითხვის და პირდაპირი შესყიდვის შემთხვევებს, რომლის დროსაც არ ხდება შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება.

ფასთა გამოკითხვის ჩატარება იმ შემთხვევაში ხდება თუ არ არსებობს პირდაპირი შესყიდვის განხორციელების საფუძველი და შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად, არ არის მიზანშეწონილი შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება.

ფასთა გამოკითხვის დროს შემსყიდველი ორგანიზაცია არანაკლებ 2 პრეტენდენტს და მხოლოდ ისეთს, რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება, უგზავნის წერილობით მოწვევას ფასთა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობისთვის. მოწვევა უნდა შეიცავდეს:

- ობიექტთან დაკავშირებულ სრულყოფილ ინფორმაციასა და დეტალურ დავალებას;
- პრეტენდენტის მიერ წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალს, მათი წარდგენის წესსა და პირობებს;
- წინადადების გახსნისა და განხილვის დროსა და ადგილს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

¹¹ 2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 17 თებერვლამდე;

¹² სავარაუდო ჯამურ ღირებულებაში არ შედის ვაჭრობა პრეისკურანტით მონაცემები;

პირდაპირი შესყიდვა ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონკრეტულ ერთ მიმწოდებელთან მოლაპარაკების საფუძველზე. აღნიშნული ხორციელდება თუ შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს ან თუ:

- კონკრეტულ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით შესაბამისი კატეგორიის სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება აქვს მხოლოდ ერთ რეზიდენტ მიმწოდებელს;
- საქონლის ან მომსახურების შესყიდვა ხორციელდება უშუალოდ არარეზიდენტი მწარმოებლისგან ან მისი არარეზიდენტი ოფიციალური წარმომადგენლისგან/დილერისგან;
- მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ანუ ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება და ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას;
- პირდაპირი შესყიდვა განპირობებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ან/და საჯარო ინტერესებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციას¹³ აღნიშნული საფუძველით შესყიდვასთან დაკავშირებით და მოითხოვა ინფორმაცია 2016 წლის ივლისიდან რამდენი შესყიდვა განხორციელდა ფასთა გამოკითხვის და პირდაპირი შესყიდვის საფუძველით და რა თანხა იქნა გადახდილი აღნიშნულ შესყიდვებში.

უწყებების პასუხების თანახმად:

- შესყიდვა არ განხორციელებულა 4 უწყებაში;¹⁴

¹³ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური; სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ დელტა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

¹⁴ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო;

- სახელმწიფო საიდუმლოების საფუძვლით არ გასცა ინფორმაცია 3-მა უწყებამ;¹⁵
- ინფორმაციაზე პასუხი არ გასცა 1-მა უწყებამ;¹⁶

შესყიდვა განახორციელა 6-მა უწყებამ:

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ფასთა გამოკითხვის საფუძვლით განხორციელდა ერთი შესყიდვა, რომლის ღირებულებამ 195 501 ლარი შეადგინა. ხოლო, პირდაპირი შესყიდვის საფუძვლით 29 შესყიდვა საერთო ღირებულებით 7 998 022.69 ლარი.

2. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო

გააფორმა 4 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 79 680 ლარი. აქედან სამი ფასთა გამოკითხვის, ხოლო ერთი პირდაპირი შესყიდვის საფუძვლით.

3. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაფორმდა 1 ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაა 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სადაც ყოველთვიური ღირებულება 450 ლარით განისაზღვრა. ადმინისტრაციის პასუხში არ არის დაკონკრეტებული რომელი საფუძვლით გაფორმდა ხელშეკრულება (ფასთა გამოკითხვით თუ პირდაპირი შესყიდვით).

4. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

პირდაპირი შესყიდვის საფუძვლით განახორციელა 39 საიდუმლო შესყიდვა, რომელთა საერთო თანხამ 2,421,058 ლარი შეადგინა.

5. სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო

განახორციელა 13 შესყიდვა, რაშიც ჯამურად გადახდილ იქნა 760,780 ლარი. სააგენტოს პასუხში არ არის დაკონკრეტებული რომელი საფუძვლით განხორციელდა შესყიდვა (ფასთა გამოკითხვით თუ პირდაპირი შესყიდვით).

6. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ფასთა გამოკითხვის საფუძვლით გაფორმდა 25 ხელშეკრულება გადახდილი თანხის ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 1,278,937 ლარი. პირდაპირი შესყიდვის საფუძვლით გაფორმდა 22 ხელშეკრულება, გადახდილი თანხის ჯამურმა რაოდენობამ 4,585,468 ლარი შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო შესყიდვების წესი დამტკიცდა, ინფორმაციის გაცემის სტანდარტი არ გაუმჯობესებულა და კვლავ ორმაგი სტანდარტით ხდება საიდუმლო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გაცემა. კერძოდ, შემსყიდველი ორგანიზაციების ნაწილი გასცემს ინფორმაციას, ხოლო ნაწილი იგივე ინფორმაციას კვლავ საიდუმლოდ მიიჩნევს. გარდა ამისა, წესში არ არის რეგულირებული თუ რა ინფორმაცია შეიძლება იყოს საჯარო ფასთა გამოკითხვის და პირდაპირი შესყიდვის დროს. ამასთან, წესი არ ავალდებულებს და

¹⁵ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ დელტა;

¹⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;

შესაბამისად, არც სააგენტოს და არც შემსყიდველის მხრიდან, არსად არ ხდება ინფორმაციის განზოგადება, შესყიდვების შესახებ ანგარიშების წარდგენა და ანალიზის გაკეთება, იმის შესახებ თუ რამდენი შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული პროცედურების გვერდის ავლით და რა თანხებზეა საუბარი.

შეჯამება

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი, რიგ საკითხებში, საკმაოდ პრობლემურია. მათი გამოსწორება მნიშვნელოვანია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ამავე წესშია განსაზღვრული, კერძოდ:

- წესში პრობლემურია ვადებთან მიმართებით არსებული საკითხები. ერთდერთი ჩანაწერი, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებამდე შესყიდვის პროცედურებზე ვადას აწესებს, შერჩევა-შეფასების და გამარჯვებულის გამოვლენაა, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სავარაუდოდ, ისედაც ირღვევა.
- არ არსებობს გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ ხელშეკრულების დადების ვადებთან დაკავშირებული ჩანაწერი (შესაძლოა, ეს იყოს კონკრეტული ვადა ან, ზოგადად, „გონივრული“ ვადა).
- შესყიდვის განხორციელების წესი არ ითვალისწინებს სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შესაბამისად, საზოგადოებისთვის საბოლოოდ მაინც უცნობი რჩება, თუ რომელი კომპანია გახდა გამარჯვებული, მოხდა თუ არა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ან, საერთოდ, შეწყდა თუ არა შესყიდვა.
- არ არის გამიჯნული და დარეგულირებული, თუ რა დროს ხდება შესყიდვის შეწყვეტა, რა დროს მთავრდება უარყოფითი შედეგით და როდის იძენს სტატუსს - „შესყიდვა არ შედგა“.
- ასევე, არ არის მითითებული ტერმინები, რომლებიც მოცემულია წესში და არ არის განმარტებული, არის თუ არა იგივე მნიშვნელობის, როგორც ეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაშია განმარტებული.
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რა შემთხვევაში და როდის გამოიყენება დაბალი ფასის ან ერთობლივად ხარისხისა და ფასის კრიტერიუმები, გამოიყენება თუ რა ისინი შესყიდვის ნებისმიერი ტიპის დროს და აქვს თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება, თავად აირჩიოს კრიტერიუმი.
- ბუნდოვნად და არასრულყოფილად არის განსაზღვრული და დადგენილი ყველაზე მაღალი ჯამური ქულის გამოთვლისთვის საჭირო პროცედურა, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ხარისხისა და ფასის კრიტერიუმს.
- არ არის მითითებული, რა ეტაპზე ხდება ფასის კრიტერიუმის შეფასება. ასევე, არ არის აღნიშნული, თუ რომელ კრიტერიუმს რა ხვედრითი წონა აქვს, ან განსაზღვრავს თუ არა ამას თავად შემსყიდველი კონკრეტულ შემთხვევაში. აგრეთვე, არ არის მითითებული პრეტენდენტისთვის შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურების

წინასწარ ცნობის ვალდებულების შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა პოტენციურ მიმწოდებელს, უკეთ ჩამოეყალიბებინა საკუთარი წინადადება და არ დაყრდნობოდა მხოლოდ დაბალ ფასს.

- ვინაიდან არ არსებობს ჩანაწერი, თუ რა შეიძლება იყოს საიდუმლო შესყიდვების შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია, დამკვიდრებული ორმაგი სტანდარტი კვლავ გრძელდება და შესყიდველი ორგანიზაციების ნაწილი კვლავ საიდუმლოდ მიიჩნევს შესყიდვების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას.
- წესი არ შეიცავს ჩანაწერს საიდუმლო შესყიდვების შესახებ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.
- 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის 11 იანვრამდე 6-მა ადმინისტრაციულმა ორგანომ¹⁷ ჯამში 134 შესყიდვა განახორციელა ფასთა გამოკითხვის და პირდაპირი შესყიდვის საფუძველით, რომელთა ჯამური ღირებულება 17 მილიონ ლარს აღემატება.¹⁸
- „შესყიდვის ელექტრონული პროცედურის“ მოდულში 2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 16 თებერვლამდე საიდუმლო შესყიდვის შესახებ განაცხადი 5-მა ადმინისტრაციულმა ორგანომ¹⁹ გამოაქვეყნა, ჯამში, 123 განაცხადი, აქედან წინადადებების მიღება დასრულებულია 98 შემთხვევაში. შესყიდვების სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 122 მილიონ ლარს გადააჭარბა.²⁰

¹⁷ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს საელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური; სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

¹⁸ 17,324,846.69 ლარი;

¹⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; სსიპ სსსტც "დელტა"; სსიპ.შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი.

²⁰ სავარაუდო ჯამურ ღირებულებაში არ შედის ვაჭრობა პრეისკურანტით მონაცემები;